ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 37

06.04 .2017 წელი

ერთის მხრივ ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორი **ალექსი იმერლიშვილი ს/კ 431172036** შემდგომში(შემსყიდველი)
მეორეს მხრივ **ახმეტის ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის დირექტორი მამუკა აბრამიშვილი ს/კ 224631478 შემდგომში** (მიმწოდებელი), ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი.საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ახალაურის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში (2003-2005)წ.წ.დაბადებულ ჭაბუკთა შორის შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად
სასტარტო შენატანის ღირებულება: თითოეული მოჭიდავისათვის 5(ხუთი) ლარი.
ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 20(ოცი) მოჭიდავე
საფუძველი: საქართველოს ძიუდოს ფედაერაციის დებულება ,
შესყიდვის ტიპი: გამარტივებული შესყიდვა.
(კლასიფიკატორის კოდი 98100000)

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.
2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს..
**3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.**
3.1 შესყიდვის ობიქტის მიწოდების საბოლოო ვადაა: 2017 წლის 09 აპრილის ჩათვლით .
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.ახმეტა რუსთაველის 74.
**4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.**
4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 მაისი.
**5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.**
5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.
5.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა განისაზღვროს
5.3 შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს ხარვეზები რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.
5.4 „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზების შესახებ.
5.5 შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.
**6. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.**
6.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო, გადარიცხვა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
6.3. ანგარიშსწორება შეძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად, ისე ეტაპობრივად ანგარიშ-ფაქტურის, (ზედნადების ან ინვოისის) წარმოდგენისა და მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
**7. მხარეთა უფლება მოვალეობანი.**
7.1 შემსყიდველს უფლება აქვს უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე -საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველის"-აგან მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.**
8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,5% ოდენობით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 9% ოდენობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა.

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების და ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებით იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს მაჟორი.

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობაა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულება'ზე.

10.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სიტუაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმებების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი" ------------------------------ ა. იმერლიშვილი

ააიპ თვითმმართველი თემის თელავის
მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების
დირექტორი
საინდ.კოდი 431172036
სახელმწიფო ხაზინა
ბიუჯეტის შემოსავლების ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი:TRESGE22

„მიმწოდებელი" ------------------------------ მ. აბრამიშვილი
მისამართი ქ. ახმეტა
რუსთაველის 74 მიუდოს სკოლა
ს/კ 224631478
სახელმწიფო ხაზინა
კოდი 05010102